პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს.ა.ქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 16 აპრილი, 1943 წ. № 86 (6711). ფასი 20 კაპ.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ყველა რკინიგზაზე სამხედრო წესების შემოღების შესახებ

ომის პირობებში რკინიგზის ტრანსპორტის მიერ მიმოზიდვის დარგში მთავრობის დავალებათა ზუსტად და თავის დროზე შესრულებას განსაკუთრებით დიდი სამხედრო და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

რკინიგზის ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა პატიოსნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

ამასთან ერთად რკინიგზის ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა ერთი ნაწილი, რომელიც ტრანსპორტის მუშაკთა უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენს, უდისციპლინობას, საქმისადმი უპასუხისმგებლობას დამოკიდებულებას იჩენს და ამით დეზორგანიზაცია შეაქვს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში.

შეუწყნარებელია, რომ რკინიგზის ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა უდისციპლინო უმცირესობა ფრონტის შეუფერებელ მომარაგებას შლიდეს და რკინიგზის ტრანსპორტის პატიოსან მუშაკთ ხელს უშლიდეს სამშობლოს წინაშე თავიანთი მოვალეობის შესრულებაში.

ამიტომ ყველა რკინიგზაზე საჭიროა შემოღებულ იქნას სამხედრო დისციპლინა, რომელიც თითოეული რკინიგზელისაგან მოითხოვს ხალხის წინაშე ოავისი მოვალეობის კეთილსინდისიერად და ზუსტად შესრულებას, რათა რკინიგზელთა უნიათო და უდისციპლინო ნაწილს არ შეეძლოს ტრანსპორტის მოშლა და რკინიგზელთა სახელის გატეხა.

რკინიგზის ტრანსპორტზე სასტიკი წესრიგის დამყარებისა და უდისციპლინოთა ალაგმვის მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გამოცხადდეს ყველა რკინიგზაზე სამხედრო წესები.

2. რკინიგზის ტრანსპორტის ყველა მუშა-მოსამსახურე ომიანობის დროის განმავლობაში მობილიზებულად ჩაითვალოს და მიმაგრებულ იქნას რკინიგზის ტრანსპორტზე სამუშაოდ.

3. დაწესდეს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთათვის წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეთა თანაბარი პასუხისმგებლობა სამსახურში ჩადენილ დანაშაულთათვის.

4. რკინიგზის ტრანსპორტზე ჩადენილი ყველა დანაშაულის საქმე განხილულ იქნას რკინიგზის სამხედრო ტრიბუნალებში ომიანობის დროის კანონების მიხედვით.

5. რკინიგზის ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეები სამსახურში ჩადენილ დანაშაულთათვის სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით დათხოვილ იქნან და გაიგზავნონ ფრონტზე საჯარიმო ასეულებში, თუ უფროსი სასტიკი სასჯელი არ გკუთვნით.

6. დაევალოს გზათა სახალხო კომისარს ამხ. კაგანოვიჩს და რკინიგზების უფროსებს, უზრუნველყონ „რკინიგზის ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა დისციპლინის შესახებ წესდების“ განუხრელად გამოყენება, კერძოდ, საჭირო შემთხვევებში გამოყენება დისციპლინის დამრღვევთა მიმართ ადმინისტრატიული დაპატიმრების უფლებისა 20 დღე-ღამემდე ვადით, აღნიშნული წესდების 21-ე პარაგრაფის თანახმად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წლის 15 აპრილი.

ქობულეთის რაიონის ზედა-სამების არასრული საშუალო სკოლა, მოსწავლე ხურიე **ხალვაშს**; ქობულეთის რაიონის ბობოყვათის საშუალო სკოლა, მოსწავლე ავთანდილ **მგელაძეს**; თბილისის 25-ე საშუალო სკოლა, მოსწავლეებს ნინელ **ჯაშს**, თინა **ბაქრაძეს**; თბილისის მე-18 საშუალო სკოლა, ზაირა **სალაძეს**; თბილისის 32-ე სკოლა, მოსწავლე ნიკოლოზ **ახობაძეს**; წალენჯიხის რაიონის წალენჯიხის საშუალო სკოლა, ნუნუ **გულუას**; ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის არასრული საშუალო სკოლა, მოსწავლე თალიკო **მაქაცარიას**; ორჯონიკიძის (ხარაგოულის) რაიონის ბორითის საშუალო სკოლა, უშანგი **ბარბაქაძეს**; საჩხერის რაიონის მერჯეევის არასრული საშუალო სკოლა, მოსწავლე აკაკი **მუმლაძეს**; საჩხერის რაიონის კორბოულის საშუალო სკოლა, მოსწავლე მარო **ბუღაძეს**; ლენინგორის რაიონის იკოთის საშუალო სკოლა, მოსწავლე კულა **გიგაურს**; ქუთაისის რაიონის ოფშკვითის საშუალო სკოლა, მოსწავლე ნათელა **კაპანაძეს**; მცხეთის რაიონის სოფელ ერედის საშუალო სკოლა, მოსწავლე ვალიკო **ზაქაიძეს**; ლაგოდეხის რაიონის არეშფერანის სკოლა, მოსწავლე გიორგი **ჯუსოევს**; ცხაკაიას რაიონის შხეფის საშუალო სკოლა, მოსწავლე დათიკო **კალანდიას**; ქალაქი გორი, საშუალო სკოლა, მოსწავლე ვანო **ბაღდოშვილს**; ქალაქი გორი. რკინიგზის სკოლა, მოსწავლე ირინე **ორჯონიკიძეს**; გორის რაიონის ქიწნისის არასრული საშუალო სკოლა, მოსწავლე კლარა **დონღუზაშვილს**; გორის რაიონის ქიწნისის არასრული საშუალო სკოლა, მოსწავლე მარგარიტა **კობლიანიძეს**; გორის რაიონის ქვემო-ნიქოზის საშუალო სკოლა, მოსწავლე ნოდარ **ნამურაძეს**; გორის რაიონის ძველის სკოლა, მოსწავლე ასმათ **ჯავახიშვილს**; სტალინირის რაიონის ვანათის საშუალო სკოლა, მოსწავლე ზინა **კულუმბეკოვას**; ზნაურის რაიონის ყორნისის საშუალო სკოლა, მოსწავლე ზოია **პარასტაევას**; წალენჯიხის რაიონის ჯგალის საშუალო სკოლა, მოსწავლეებს ალექსანდრე **კვარაცხელიას** და ბედიშა **ღვინჯილიას**; წალენჯიხის რაიონის ფახულანის საშუალო სკოლა, მოსწავლეებს ვახტანგ **გოგოხიას**, ჟორა **გერგედავას**, მიტო **გოგოხიას**, ცოცია **ჭარაიას**, ეუჟენა **ჭარაიას**; ზუგდიდის რაიონის სოფელი ოქტომბერი, არასრული საშუალო სკოლის მოსწავლეებს ვალია **ქირიას**, ორდენ **შამუგიას**, პალიკო **უბილავას**; ორჯონიკიძის რაიონის სოფელი მოლითი, საშუალო სკოლის მოსწავლე ენენა **ორთოიძეს**; ჭიათურის რაიონის კაცხის საკოლო, მოსწავლე სოსო **აბესაძეს**; ჭიათურის რაიონის ზოდის საშუალო სკოლა, მოსწავლე ზიზილა **გაბესკელიანს**; გეგეჭკორის რაიონის სერგიეთის საშუალო სკოლა, მოსწავლე გულისი **ჩახავას**; გეგეჭკორის რაიონის აბედათის სკოლა, მოსწავლე რომეო **კიტეიშვილს**; გალის რაიონის სოფელი ოქუმი, საშუალო სკოლის მოსწავლე გრიშა **ჯგუბურაია**; ვანის რაიონის შუამთის საშუალო სკოლა, მოსწავლე ციალა **გოგაძეს**; ლანჩხუთის რაიონის სოფელი ნიგზიანი, საშუალო სკოლის მოსწავლე შუტუ **რუსაძეს**; სტალინირის რაიონის სოფელი ერედვი, მოსწავლეებს გურგენ **ცოტნიაშვილს**, შოთა **ბორცვაძეს**, ვახტანგ **ბაციკაძეს**, აზალია **ოვანოვას**; ზუგდიდის რაიონის სოფელი ორსანტია, მოსწავლე მიშა **პერტაიას**; კასპის არასრული საშუალო სკოლა, მოსწავლე ომარ **გორგოლაძეს**; გუდაუთის რაიონის ლიხნის საშუალო სკოლა, მოსწავლე რაჟდენ **ხიკუბას**; გუდაუთის საშუალო სკოლა, მოსწავლეებს იური **ზვერევს**, ნათელა **კვერგელიძეს**;

გმადლობთ, ნორჩო ამხანაგებო, წითელ არმიაზე თქვენი ზრუნვისათვის. გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებას სწავლასა და საზოგადოებრივ მუშაობაში.

ი. სტალინი

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის ვოლოდაროვკის სასოფლო საბჭოს და ამავე სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების—ბნადენბერგისა და ნიიდორფის გადარქმევის შესახებ

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება და სოხუმის რაიონის ვოლოდაროვკის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ ბნადენბერგს ეწოდოს სოფელი ძიკუტა, სოფელ ნიიდორფს — სოფელი ახალსოფელი, ხოლო ვოლოდაროვკის სასოფლო საბჭოს—ახალსოფლის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1943 წ. 14 აპრილი. ქალ. თბილისი.

გერმანელი ფაშისტი ჯალათების საზიზღარი მონაჭორი

ჰებელსული ცილისმწამებლებმ უკანასკნელი ორი-სამი დღის განმავლობაში აერცელებენ ცილისწამებით აღსავსე საზიზღარ მონაჭორს, თითქოს 1940 წლის გაზაფხულზე სმოლენსკის რაიონში საბჭოთა ორგანოებს მასობრივად დაეხვრიტათ პოლონელი ოფიცრები. გერმანელი ფაშისტი არამზადები თავიანთ ამ ახალ საზარელ მონაჩმახში არ ერიდებიან უაღრესად უტიფარ და საზიზღარ სიცრუეს, რომლითაც ისინი ცდილობენ მიჩქმალონ უმაგალითო დანაშაულნი, რაც მათ, როგორც ეს ახლა ცხადია, თვითონვე ჩაიდინეს.

გერმანელ ფაშისტთა ცნობები ამის შესახებ არავითარ ეჭვს არ სტოვებენ, თუ რა ტრაგიკული ბედი ეწიათ ყოფილ პოლონელ სამხედრო ტყვეებს, რომლებიც 1941 წელს იმყოფებოდნენ სმოლენსკის. დასავლეთით მდებარე რაიონებში საამშენებლო სამუშაოებზე და რომლებიც სმოლენსკის ოლქის მცხოვრებ მრავალ საბჭოთა ადამიანთან ერთად ხელში ჩაუვარდნენ გერმანელ ფაშისტ ჯალათებს 1941 წლის ზაფხულში, სმოლენსკის რაიონიდან საბჭოთა ჯარების წამოსვლის შემდეგ.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ ჰებელსელი ცილისმწამებლები სიცრუითა და ცილისწამებით ცდილობენ ახლა მიჩქმალონ ჰიტლერელი ყაჩაღების სისხლიანი დანაშაულნი. ხანგრძლივ შეთითხნილ თავიანთ ნაყბედარში მრავალრიცხოვანი საფლავების შესახებ, რომლებიც გერმანელებმა თითქოს აღმოაჩინეს სმოლენსკის მახლობლად, ჰებელსელი ცრუპენტელები ასახელებენ სოფელ გნეზდოვაიას, მაგრამ ისინი თაღლითურად სდუმან იმის შესახებ, რომ სწორედ სოფელ გნეზდოვაიას მახლობლად არის ისტორიული „გნეზდოვაიას სამარხის“ არქეოლოგიური განთხრები. ამა საქმეთა ჰიტლერელი ოსტატები მომარაგენ უაღრესად უხეშ სიყალბეს და ფაქტების არევას, ავრცელებენ რა ცილისწამებლურ მონაჭორს საბჭოთა ორგანოების რომელიღაც მხეცობის შესახებ 1940 წლის გაზაფხულზე და, ამგვარად, ცდილობენ თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა ჰიტლერელთა მიერ ჩადენილ მხეცურ დანაშაულთათვის.

პატენტიანი გერმანელი ფაშისტი კაცისმკვლელები, რომლებსაც ხელები ასეულ ათასობით უდანაშაულო მშვიერლთა სისხლით აქვთ მოსვრილი, რომლებიც სისტემატურად ყლეტენ მათ მიერ ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობას, არ იმდობენ არც ბავშვებს, არც ქალებს, არც მოხუცებს, კაცისმკვლელები, რომლებმაც თვით პოლონეთში, მრავალ ასეულ ათასობით პოლონელი მოქალაქე გაჟლიტეს, ვერავის ვერ მოატყუებენ თავიანთი საზიზღარი სიცრუითა და ცილისწამებით. ჰიტლერელი კაცისმკვლელები ვერ გაექცევიან სამართლიან და გარდუვალ საზღაურს თავიანთ სისხლიან დანაშაულთათვის.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

საბჭოთა თვითმფრინავების თავდასხმა დანციგსა და კენიგსბერგზე

14 აპრილს ღამით საბჭოთა თვითმფრინავები თავს დაესხნენ დანციგსა და კენიგსბერგს და დაბომბეს ამ ქალაქების სამხედრო-სამრეწველო ობიექტები. დაბომბვის შედეგად დანციგში გაჩნდა მრავალი ხანძარი და შემჩნეული იყო ძლიერი აფეთქებანი. განსაკუთრებით დიდი ხანძრები და აფეთქებანი იყო იმ რაიონში, სადაც ნავთის საწყობები მდებარეობს. კენიგსბერგში დიდი ხანძრები შემჩნეული იყო ნავსადგურისა და საქონლის სადგურის რაიონში.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საქონლის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის გაზრდის ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოზარდეულის შენარჩუნებისა და საქონლის სულადობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 11 მარტის დადგენილების განხორციელების შედეგად კოლმეურნეობათა მეცხოველეობა, ომიანობის დროის სიძნელეთა მიუხედავად, ზრდას განაგრძობს. 1942 წლის 1 იანვრიდან 1943 წლის 1 იანვრამდე განვლილ პერიოდში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა კოლმეურნეობებში გადიდდა 11 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—11 პროცენტით. მაგრამ ამავე პერიოდის განმავლობაში ღორის სულადობა 2 პროცენტით შემცირდა.

კოლმეურნეობებმა 1942 წელს საქონლის სულადობის ზრდის პირობებში შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების გეგმა და 49 პროცენტით მეტი ხორცი ჩააბარეს, ვიდრე 1941 წელს.

მნიშვნელოვნად გადიდდა სულადობა და წარმატებით არის შესრულებული მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა ყაზახეთის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, სადაც მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გადიდდა 22 პროცენტით, ღორისა—13 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—18 პროცენტით. ბორკის ოლქის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გადიდდა 28 პროცენტით, ღორისა—40 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—39 პროცენტით. ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გადიდდა 40 პროცენტით, ღორისა—29 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—74 პროცენტით. ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გადიდდა 44 პროცენტით, ღორისა—7 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—25 პროცენტით. ყირგიზეთის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გადიდდა 20 პროცენტით, ღორისა —15 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—14 პროცენტით. ივანოვოს ოლქის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გადიდდა 48 პროცენტით, ღორისა—65 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—60 პროცენტით. მარეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გადიდდა 27 პროცენტით, ღორისა—20 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—45 პროცენტით. იაროსლავლის ოლქის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გადიდდა 36 პროცენტით, ღორისა—33 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—39 პროცენტით. პრიმორიეს მხარის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გადიდდა 11 პროცენტით, ღორისა—1 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—35 პროცენტით.

1942 წელს კოლმეურნეობებმა მეტი ხეშეში საკვები დაგროვეს, ჩაჰყარეს 12.263 ათასი ტონა სილოსი, ანუ 24 პროცენტით მეტი, ვიდრე 1941 წელს. ბევრ ოლქსა და რესპუბლიკაში თიბვის და დასილოსების გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით არის შესრულებული. ასე, მაგალითად, სომხეთის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა თიბვის გეგმა 126 პროცენტით შეასრულეს. აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა—126 პროცენტით, ტულის ოლქისამ—125 პროცენტით, გორკის ოლქისამ—107 პროცენტით. იაროსლავლის ოლქის კოლმეურნეობებმა 1942 წელს ჩაჰყარეს 300 ათასი ტონით მეტი, ივანოვოს ოლქის კოლმეურნეობებმა — 188 ათასი ტონით მეტი, თათრეთის ასს რესპუბლიკისამ—110 ათასი ტონით მეტი სილოსი, ვიდრე 1941 წელს.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, სახალხო-სამეურნეო გეგმის ფარგლებში ასახელებენ სოფელ ბაღლიანს, ეკუთვნილ ელენა ალექსანდრეს ასულ ბოლოტოვას, ეკატერინა ალექსეის ასულ ბოლოტოვას, ანა ალექსეის ასულ ბოლოტოვას, ანა ალექსეის ასულ ბოლოტოვას, ან

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საქონლის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის გაძიდების ღონისძიებათა შესახებ

(დასასრული)

ლიკურ ბიუჯეტებში საჭირო სახსრები გასარეკი სძოვრებია სამეურნეო მოწყობისა და თვისების ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

14. ნება დაერთოთ საოლქო აღმასკომებს გასარეკი მეცხოველეობის მოწყობის რაიონებში გადასცენ როგორც თვისი, ასე მეზობელი ოლქებისა და რესპუბლიკების კოლმეურნეობებს, რომლებიც პირუტყვის გასარეკ შენახვას ეზღვევიან, დროებითი სარგებლობისათვის 10 წლამდე ვადით გამოუყენებელი სეზონური სძოვრები და სათიბები, რომლებიც სახელმწიფო ფონდის მიწებზე მდებარეობენ.

III. მეფრინველეობის დარგში

1. გადიდდეს 1944 წლის 1 იანვრისათვის კოლმეურნეობებში მოზრდილი ფრინველის რაოდენობა 112 პროცენტით და დაწესდეს 1943 წლისათვის საინკუბატორო-მეფრინველეობის სადგურებში წოწილების გაყიდვის გეგმა 25.076.000 ფრთის რაოდენობით.

2. ინკუბაციის გეგმის თავის დროზე შესრულების უზრუნველსაყოფად ნება დაერთოთ კოლმეურნეობებს 1943 წლის 15 ივლისამდე ჩაბარონ კვერცხი საინკუბატორო-მეფრინველეობის სადგურებს კვერცხის ჩაბარების ანგარიშში იმ რაოდენობით, რაც დაწესებულია დამზადებათა სახალხო კომისარიატის გეგმით სსრ კავშირის მიწსახკომთან შეთანხმებით.

3. მიეცდოს სსრ კავშირის მიწსახკომს დავალოს საინკუბატორო-მეფრინველეობის სადგურთა დირექტორებს, სავალდებულო ჩაბარების ანგარიშში მიღებული კვერცხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად კოლმეურნეობებსა და მოსახლეობას გადაახდევინონ ორ-ორი კვერცხი თითოეული გაცემული წოწილისათვის ან 1.000 გრამი ხორცი (ცოცხალი წონით) 10 კვერცხისათვის, რაც დახარჯულია წოწილების გამოსაჩეკად, ნაჩეკის ღორებულების გადახდითი; წოწილისათვის 1 მანეთი, იხვის ჭუჭულისათვის 2 მანეთი, ბატის ჭუჭულისათვის—2 მანეთი და 50 კაპ., ინდაურის ჭუკისათვის—2 მანეთი.

4. ნება დაერთოთ კოლმეურნეობებს 1943 წლის მეორე კვარტალში მიჰყიდონ საინკუბატორო-მეფრინველეობის სადგურებს კვერცხი საჯიშე მიზნით სახელმწიფოსათვის კვერცხის სავალდებულო ჩაბარებასთან ერთდროულად.

5. დაეკისროთ საინკუბატორო-მეფრინველეობის სადგურებს იმ კოლმეურნეობათა მეფრინველეობის ფერმების ზოოტექნიკური მომსახურება, რომლებიც ამ სადგურების საქმიანობის ზონაში იმყოფებიან.

1943 წლიდან შეიყვანონ საინკუბატორო-მეფრინველეობის სადგურების შტატში ზოოტექნიკოსები კოლმეურნეობათა მეფრინველეობის ფერმების მომსახურებისათვის, ვა-რაუდით ერთი კაცი ყოველ ადმინისტრატიულ რაიონზე, რომელიც საინკუბატორო-მეფრინველეობის სადგურის საქმიანობის ზონაში შედის.

IV. გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეცხოველეობის აღდგენის შესახებ

1. დაეავალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, განთავისუფლებული რაიონების საოლქო აღმასკომებს, სამხრეთ აღმა.-კომებსა და რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და სამხრეთ კომიტეტებს აღადგინონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმები და მიიღონ ზომები პარტიუკვის სულადობის გასადიდებლად ნამატის სრული შენარჩუნებისა და გამოზრდის, მოზარდეულის კონტრაქტაციისა და შესყიდვის და ფერმებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, იმ პირუტყვის სულადობის დაბრუნების ხარჯზე, რომელიც კოლმეურნეებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა გადაარჩინეს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა მიერ დატაცებას.

2. დაეავალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, განთავისუფლებული რაიონების საოლქო აღმასკომებს, სამხრეთ აღმასკომებსა და რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს აღადგინონ ზოოვეტერინარული ფერმების, ზოოვეტერინარული პუნქტების, ვეტერინარული ბაკალბორატორიების ხორცსაკონტროლო სადგურებისა და ვეტერინარული მომარაგების საწყობების მუშაობა, უზრუნველჰყონ ისინი საჭირო კადრებით, სადგომებითა და მოწყობილობით და დააკომპლექტონ სამეურნეო ორგანიზაცია ზოოტექნიკური ქსელი ზოოტექნიკური და ვეტერინარული პერსონალით წინათ ევაკუირებული სპეციალისტების ამ რაიონებში დაბრუნების ხარჯზე, ავრეთვე იმ სპეციალისტების ხარჯზე, რომლებიც უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებს ათავებენ.

3. დაეავალოს სსრ კავშირის მიწსახკომს ერთი თვის ვადაში გაგზავნოს გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში სამუშაოდ ზოოტექნიკოსები და ვეტერინარი მუშაკები ზოოტექნიკური-ვეტერინარული უბნების განსამტკიცებლად.

4. დაეავალოს სსრ კავშირის მიწსახკომსა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს ჩაატარონ პირუტყვის მთელი სულადობის ვეტერინარული შემოწმება და იმ პუნქტებში, რომლებიც არაკეთილსაიმედო იქნებიან გადამდებ დაავადებათა მხრივ, მოაწყონ ეპიზოოტიის საწინააღმდეგო და ვეტერინარულ-სანიტარულ ღონისძიებათა ჩატარება.

5. ნება დაერთოს საოლქო აღმასკომებს, სამხრეთ აღმასკომებსა და რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ რაიონებში გამოუყონ სამეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ოკუპაციისაგან განთავისუფლებული ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების კოლმეურნეობებს გრძელვადიანი კრედიტი იმ რაოდენობით, რაც საჭიროა საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმების დასაკომპლექტებელი პირუტყვის შესასყიდად.

7. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის მიწსახკომს 1943 წლის II და III კვარტალში შეიყვანოს ლენინგრადის, კალინინის, ,ვორონეჟის, სტალინგრადის, ჟოლტოლის, ორიოლის, სმოლენსკისა და როსტოვის ოლქების, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში 2.800 ბოლა-მწარმოებელი.

8. ნება დაერთოს სსრ კავშირის მიწსახკომს შეისყიდოს და შეიყვანოს ჯოჯები განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებში ნაკვეთები ხეტყის მოსაჭრელად მეცხოველეობის ნაგებობათა მშენებლობისათვის ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში და ტყის დაცვის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით—წყლის დაცვის ზონაში, აგრეთვე სახელმწიფო ფონდის ტყეებში, თითო ძირ მოჭრილ ხეში ფასის გადახდევინებით.

6. დაეავალოს სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკს გამოუყოს გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების კოლმეურნეობებს გრძელვადიანი კრედიტი იმ რაოდენობით, რაც საჭიროა საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმების დასაკომპლექტებელი პირუტყვის შესასყიდად.

7. დაეავალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეცხოველეობაში ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ ღონისძიებათა ჩატარებასთან ერთად, ზოოტექნიკური და ვეტერინარული დახმარება აღმოუჩინოს კოლმეურნეებს პირუტყვის მოშენებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების საქმეში.

6. დაეავალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, საოლქო აღმასკომებს, სამხრეთ აღმასკომებს, რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს ქალაქის საბჭოებთან შეჰქმნან სასოფლო-სამეურნეო განყოფილებანი ქალაქის მოსახლეობაში მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და მებოსტნეობის განვითარებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

დაეავალოს ქალაქების საბჭოების სასოფლო-სამეურნეო განყოფილებებს დახმარება აღმოუჩინონ მოსახლეობას ბოსტნებისათვის მიწების გამოყოფაში, საკვების შეძენაში, სანოვაგითა გამოყოფასა და გამოყენებაში, პირუტყვის დასაგრილებელი პუნქტების მოწყობაში, აგრეთვე ვეტერინარულ და ზოოტექნიკურ მომსახურებაში.

7. დაეავალოს საოლქო აღმასკომებს, სამხრეთ აღმასკომებს, რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს, სამხრეთ კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს სისტემატურად შეამოწმონ ამ დადგენილების შესრულება და თვეში ერთხელ მაინც განიხილონ საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის, სამხრეთ კომიტეტისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ბიუროებზე, საოლქო აღმასკომში, სამხრეთ აღმასკომში და სახკომსაბჭოში მეცხოველეობის მდგომარეობა რაიონების მიხედვით, ხოლო რაიონებში—პარტიის რაიკომის ბიუროზე და რაიაღმასკომში—მეცხოველეობის მდგომარეობა კოლმეურნეობებში და მიიღონ ზომები პირუტყვის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის გადიდების გეგმების უფლებამოსილებისა.

V. პირუტყვის შეძენაში კოლმეურნეებისათვის დახმარების დარგში

1. სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ საოლქო აღმასკომებს, სამხრეთ აღმასკომებსა და რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს მოაწყონ კოლმეურნეებისათვის, პირველ რიგში წინათელარმიელთა ოჯახებისათვის, რომელთაც პირუტყვი არა ჰყავთ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დახმარება დეკეულების, ღორებისა და ცხვრების შესყიდვის გზით შეძენაში.

ნება დაერთოთ იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც მეღორეობის განვითარებისა და ღორების გასუქების გეგმებს ასრულებენ, მიჰყიდონ კოლმეურნეებს გოჭები სახორცედ გასაზრდელად კოლმეურნეობის გამგეობის მიერ დაწესებულ ფასად.

2. ნება დაერთოს სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკს 1943 წელს მისცეს კოლმეურნეებს კრედიტი პირუტყვის შესაძენად 15 მილიონი მანეთის რაოდენობით.

3. დაეავალოთ აღგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს უხეში და წვნიანი საკვებით მათი კუთვნილი პირუტყვის უზრუნველყოფის საქმეში.

ნება დაერთოთ კოლმეურნეობათა გამგეობებს, იმ თივის აღების შემდეგ, რაც საჭიროა სახელმწიფოსათვის ჩაბარებათა შესასრულებლად, საკვების საზოგადოებრივი პირუტყვის მთლიანად უზრუნველსაყოფად და დაწესებული დასაზღვევი მარგის შესაქმნელად, გამოუყონ სათიბავად კოლმეურნეებს დარჩენილი ბუნებრივი სათიბების ნაწილი, აგრეთვე ნება დაერთოთ რაიაღმასკომებს კოლმეურნეობათა გამგეობების შუამდგომლობით კოლმეურნეებს სათიბავად გამოუყონ სახელმწიფო ტყის ფონდისა და სახელმწიფო მიწების ფონდის გამოუყენებელი ნაკვეთები.

მისცენ კოლმეურნეებს პირუტყვისათვის, აგრეთვე სოფელ ადგილების მუშებისა და მოსამსახურეების პირუტყვისათვის საძოვარი ნაკვეთები.

4. წინადადება მიეცეთ კოლმეურნეობებს მეცხოველეობის ფერმებში იყოლიონ მწარმოებელი ბუღების, ყოჩების, ქოსმენების საჭირო რაოდენობა კოლმეურნეებს კუთვნილი პირუტყვის მთელი დედალი სულადობის დაგრილების ჩასატარებლად.

5. დაეავალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეცხოველეობაში ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ ღონისძიებათა ჩატარებასთან ერთად, ზოოტექნიკური და ვეტერინარული დახმარება აღმოუჩინოს კოლმეურნეებს პირუტყვის მოშენებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების საქმეში.

6. დაეავალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, საოლქო აღმასკომებს, სამხრეთ აღმასკომებს, რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს ქალაქის საბჭოებთან შეჰქმნან სასოფლო-სამეურნეო განყოფილებანი ქალაქის მოსახლეობაში მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და მებოსტნეობის განვითარებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

დაეავალოს ქალაქების საბჭოების სასოფლო-სამეურნეო განყოფილებებს დახმარება აღმოუჩინონ მოსახლეობას ბოსტნებისათვის მიწების გამოყოფაში, საკვების შეძენაში, სანოვაგითა გამოყოფასა და გამოყენებაში, პირუტყვის დასაგრილებელი პუნქტების მოწყობაში, აგრეთვე ვეტერინარულ და ზოოტექნიკურ მომსახურებაში.

7. დაეავალოს საოლქო აღმასკომებს, სამხრეთ აღმასკომებს, რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს, სამხრეთ კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს სისტემატურად შეამოწმონ ამ დადგენილების შესრულება და თვეში ერთხელ მაინც განიხილონ საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის, სამხრეთ კომიტეტისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტების ბიუროებზე, საოლქო აღმასკომში, სამხრეთ აღმასკომში და სახკომსაბჭოში მეცხოველეობის მდგომარეობა რაიონების მიხედვით, ხოლო რაიონებში—პარტიის რაიკომის ბიუროზე და რაიაღმასკომში—მეცხოველეობის მდგომარეობა კოლმეურნეობებში და მიიღონ ზომები პირუტყვის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის გადიდების გეგმების უფლებამოსილებისა.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

14 აპრილის დილის ცნობა

13 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით 5 ნაწილის მებრძოლებმა გაფანტეს ბრძოლაში მოსპეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 5 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და დაახიზანეს გერმანელთა 2 ტანკი. ღამით საბჭოთა მზვერავების რაზმი შეიჭრა ჰიტლერელების მიერ დაკავებულ სოფელში და დახოცა მტრის 40 ჯარისკაცი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 5 ნაწილის არტილერისტებმა სროლა აუტეხეს გერმანელთა ქვეითი ჯარის დაჯგუფების. დაზვერვამ გამოარკვია, რომ არტილერიის ცეცხლით მოსპობილია ერთ ასეულამდე ჰიტლერელი. 5 ნაწილის შვიდმა სნაიპერმა ორი დღის განმავლობაში 20 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცა.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით საარტილერიო სროლა სწარმოებდა მტერთან. ჩვენი არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მტრის ერთი საარტილერიო და 2 სანაღმმტყორცნო ბატარია, 15 ავტომანქანა და რამდენიმე ბლინდაჟი. ერთ უბანზე მტერი ცდილობდა ბრძოლით დაზვერვა მოეხდინა, მაგრამ ჩვენი ქვეითი ჯარი მას ხალპური ცეცხლით შეხვდა. გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ და პირვანდელ ზღუდეებზე დაიხიეს.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე ჩვენმა არტილერისტებმა ჩაახშეს მოწინააღმდეგის 6 საარტილერიო და 2 სანაღმმტყორცნო ბატარიის ცეცხლი. გარდა ამისა, ჩვენი არტილერიის ცეცხლით დანგრეულია მტრის 8 ძელმიწური და ბლინდაჟი, მოსპობილია 9 ტყვიამფრქვევი და აფეთქებულია 2 საწყობი საომარ მასალიანად. თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაწყვეტილია 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

დილაადრიან 25 ბელორუსი პარტიზანი გზატეხილზე ჩასაფრდა. პარტიზანებმა უთვალთვალეს, როცა გერმანელთა მოწინავე რაზმმა გაიარა, გზაში ნაღმები ჩააწყეს და დაელოდნენ. მალე მოვიდა სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც მოყვებოდა 300 კაცისაგან შემდგარი გერმანელთა ქვეითი ჯარის კოლონა. როგორც კი ავტომანქანა ნაღმს წააწყდა, პარტიზანებმა ტყვიამფრქვევის, ავტომატისა და თოფის სროლა აუტეხეს მტრის ქვეითს ჯარს. მოკლე ხნის სროლაში საბჭოთა პატრიოტებმა მტერს სერიოზული ზარალი მიაყენეს და ბრძოლიდან გავიდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ პარტიზანთა დაზვერვამ სარწმუნო ცნობები მოიტანა ჰიტლერელთა ზარალის შესახებ. გამოირკვა, რომ გზატეხილზე ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა პარტიზანების მიერ მოკლული 102 ჯარისკაცი და ოფიცერი დამარხეს.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი გერმანელ ფაშისტ არამზადათა სისხლიანი ბოროტმოქმედების შესახებ: „სმოლენსკის ოლქის სოფელ მირიპოლიეში გერმანელმა ბანდიტებმა შეჰყარეს 75 მშვიდობიანი მცხოვრები — მოზრდილები და ბავშვები და სამინელი წამების შემდეგ დახოცეს. სოფელ სუხოვარინოში გერმანელებმა ავრეთვე ბევრი ხალხი დაღუპეს. ბანდიტებმა 7 გლები ფარდულში შეჰყარეს, რამდენიმე დღე-ღამე უჭმელ-უსმელი ამყოფეს ისინი, შემდეგ კი მხეცურად აწამეს და დახოცეს“. აქტს ხელს აწერენ: კაპიტანი პუტიანსკი, სოფელ სუხოვარინოს კოლმეურნეები ანა ტიტოვა, პოლინა კარპენკო და ნიკოლოზ ვლავროვი.

14 აპრილის საღამოს ცნობა

14 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

13 აპრილს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაახიზანეს გერმანელთა სულ ცოტა 30 ავტომანქანა ჯარებისანად და ტვირთიანად, ააფეთქეს საომარი მასალის საწყობი და დაამტვრიეს მტრის სარკინიგზო შემდგენლობა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ნაწილები იუმჯობესებდნენ პოზიციებს და დაზვერვას ეწეოდნენ. არტილერიისა და ქვეითი ჯარის თანაღის ცეცხლით გაწყვეტილია 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ერთ უბანზე საბჭოთა მებრძოლების რაზმმა მტრის ზურგში შეაღწია და იერიში მიიტანა ფრონტისაკენ მომავალ გერმანელთა ალაზე. მზვერავებმა დახოცეს რამდენიმე ათეული ჰიტლერელი და ააფეთქეს 15 საზიდარი საომარ მასალიანად. საბჭოთა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდეს გერმანელთა 2 ავიაგამანადგურებელი.

* * *

იზიუმის სამხრეთით მოწინააღმდეგემ იერიში მოიტანა იმ ქვეგანაყოფის პოზიციებზე, რომლის მეთაურიც არის ლეიტენანტი კოუნმიაკინი. მებრძოლებმა ახლოს მოუშვეს მტერი და ზალვებით დაუშინეს ცეცხლი. ჰიტლერელები თავისი ჯარისკაცების გვამებზე აბიჯებდნენ და განაგრძობდნენ წინსვლას. ჩვენმა მებრძოლებმა გრანატები დააყარეს გერმანელებს და ხიშტის დარტყმით პირვანდელ პოზიციებზე უკუაგეიეს. სხვა უბანზე ჩვენმა არტილერისტებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 3 ქვემეხი, 8 სატყვიამფრქვევო წერტი, ჯაჭვანტეს და ნაწილობრივ გასწყვიტეს ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სევსკის რაიონში ჩვენი ჯარები ცალკეულ უბნებზე ცეცხლითაც ბრძოლას ეწეოდნენ მტერთან. 5 ნაწილის არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა სანაღმმტყორცნო ბატარია, 3 დაზის ტყვიამფრქვევი, 9 საზიდარი, საომარ მასალიანად, დაანგრიეს 8 ბლინდაჟი და 2 სათვალთვალო პუნქტი. საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 2 ბომბდამშენი.

* * *

ყუბანში ჩვენი ქვეგანაყოფები განთიადისას წყლის ზღუდეზე გადავიდნენ და დაიკავეს მოწინააღმდეგის ბლინდაჟები და სანგრები. ჰიტლერელები გაიქცნენ და ბრძოლის ველზე დასტოვეს 4 დაზის ტყვიამფრქვევი, დიდძალი შაშხანა, გრანატი, ვაზნა და 80-მდე თავიანთი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი. გერმანელებმა მალე მოიშველიეს რეზერვები და ზედიზედ რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს. საბჭოთა მებრძოლებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში და შეინარჩუნეს დაკავებული პოზიციები.

* * *

ვოლხოვის ფრონტის ერთ უბანზე გერმანელები შეეცადნენ იერიში მოიტანათ ჩვენს პოზიციებზე. თოფ-ტყვიამფრქვევისა და ნაღმსატყორცნთა ცეცხლით მტერი უკუგდებულ იქნა პირვანდელ მდგომარეობაში და ჩვენი პოზიციების წინ თავისი ჯარისკაცებისა და ოფიცრების 70-მდე გვამი დასტოვა.

* * *

კალინინის ოლქის გერმანელების მიერ დროებით დაპყრობილ რაიონებში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა მთელი რიგი საბრძოლო ოპერაციები ჩაატარა. პარტიზანებმა ააფეთქეს 29 რკინიგზისა და 39 გზატეხილის ხიდი, დაანგრიეს 5 კილომეტრზე მეტი რკინიგზის ხაზი და ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 8 ეშელონი. მარცხის შედეგად დამტვრეულია 5 ორთქმავალი, 16 ვაგონი ჯარებისანად და 37 ვაგონი საპურეულისანად და საომარ მასალიანად. პარტიზანთა ამავე რაზმებმა ჰიტლერელთა სადამსჯელო ექსპედიციებთან ბრძოლებში გასწყვიტეს 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

გერმანელთა 78-ე ქვეითი დივიზიის მე-14 პოლკის ტყვე უნტერ-ოფიცერმა ფრიც გერმანმა განაცხადა: „გერმანული პროპაგანდა ახლა უფრო ფრთხილად მოქმედებს, ვიდრე წინათ. იგი შიშობს დაასახელოს ომის დამთავრების ვადები, რადგან უკვე არაერთხელ დაიწვა ამაზე ხელი. ახლა გერმანული გაზეთები ყოველნაირად გვამინებენ ყოველგვარი საშინელებით, რაც ვითომ გერმანელებს მოელით გერმანიის დამარცხების შემთხვევაში. ბევრ ჯარისკაცზე ეს პროპაგანდა საწინააღმდეგო მოქმედებას ახდენს. მათ უკვირთ: წარმატებთა და გამარჯვებათა შესახებ დაუსრულებელი ცნობების შემდეგ უცებ რატომ დაიწყეს ამდენი ლაპარაკი იმაზე, რომ გერმანიის არმიას განადგურება ემუქრება? უცვ რატომ დასჭირდათ ტოტალური მობილიზაცია, რომელიც თოვლივით დაეცა თავს გერმანიის ზურგს? თუ კაბრის რჩეულმა დივიზიებმა ვერ დაამარცხეს რუსები და განადგურებულ და დამარცხებულ იქნენ, მაშინ რაღას უნდა მოველოდეთ სუსტად გაწრთვნილი ხანში შესული ადამიანებისა და მოზარდებისაგან, რომლებიც ამ უკანასკნელ დროს გაიწვიეს. ვფიქრობ, რომ გერმანიის ახალი ნაწილები უთუოდ დასაღუპავად არიან განწირულნი“.

* * *

მორავსკა ოსტრავის რაიონში (ჩეხოსლოვაკია) ჩეხმა პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს შახტი. უმნიშვნელოვანესი მექანიზმები გაფუჭებულია. პილზენში „სს“-ელთა ფორმით გამოწყობილ ახალგაზრდა ჩეხთა ჯგუფი სამხედრო ქარხანაში შეიპარა, გააღო საწყობი და 27 ტყვიამფრქვევი გაიტაცა. წასვლისას პატრიოტებმა ცეცხლი წაუკიდეს საწყობს. პრაღაში უკანასკნელ დროს გახშირდა თავდასხმა გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებზე.

15 აპრილის დილის ცნობა

14 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ უბანზე ლეიტენანტი ლებედევი, უფროსი სერჟანტი ზაბიაკინი, უფროსი სერჟანტი კობრიკოვი, სერჟანტი იაკიმოვი და წითელარმიელი ზუბანოვი თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის განლაგებას. მზვერავებმა გერმანელთა თავდაცვის წინა კიდეზე შეაღწიეს, სანგარში შეიჭრნენ და გრანატებითა და ავტომატების ცეცხლით მოსპეს 35 ჰიტლერელი. მზვერავებმა ხელთ იგდეს გერმანელთა ხელის ტყვიამფრქვევი და თავიანთ ქვეგანაყოფში დაბრუნდნენ.

* * *

ჩუგუევის ჩრდილოეთით ჩვენი არტილერიის ცეცხლით გაფანტულია მოწინააღმდეგის ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი, რომელიც სალაშქრო კოლონად მოემართებოდა. გზაზე დარჩა მტრის 150-მდე გვამი და 5 დამტვრეული ავტომანქანა.

* * *

იზიუმის სამხრეთით 5 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს იერიში მოწინააღმდეგისა, რომელიც ცდილობდა დაეკავებინა ერთი მაღლობი. ბრძოლის შედეგად მოსპობილია 100-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებულია გერმანელთა 1 ტანკი და 2 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი. სხვა უბანზე ჩვენი მზვერავების ჯგუფმა მოწინააღმდეგის ზურგში შეაღწია და სროლა აუტეხა მოახლეებულ ჰიტლერელთა კოლონას. ამავე კოლონას სროლა აუტეხეს ერთ დასახლებულ პუნქტში მყოფმა გერმანელებმაც, რომლებიც ვერ გაერკვნენ, თუ რაში იყო საქმე. ჩვენი მზვერავები სროლას არეს ფამოსცილდნენ და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ, ხოლო ჰიტლერელები ორი საათის განმავლობაში უშენდნენ ერთმანეთს.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე 5 შენაერთის არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთი საარტილერიო და 3 სანაღმმტყორცნო ბატარია, აფეთქებულია საომარ მასალითა 2 საწყობი და გაფანტულია გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ყუბანში გვარდიის მაიორმა, მფრინავმა კრასუკოვმა, როცა იგი ჩვენი ჯარების განლაგებას ატარებდა, შეამჩნია გერმანელთა 3 ავეგანგარდადგურებელი „მესერშმიტ-109“ და ბრძოლა მოახვია მათ თავზე. მაიორმა კრასუკოვმა ჩამოგდო „მესერშმიტის“ 2 თვითმფრინავი. ჩამოგდებული გერმანელთა თვითმფრინავები ჩვენს ტერიტორიაზე დაეცა.

* * *

ვოლინის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა გამოარკვია, რომ უახლოეს სადგურში მოელოდნენ მოწინააღმდეგის საჰაერო ეშელონს. პარტიზანებმა რამდენიმე ადგილას დანაღმეს რკინიგზის ლიანდაგი. გერმანელთა მატარებელი, რომელიც ორმაგი წევით მოდიოდა, ნაღმებზე აფეთქდა და მაღალი მიწაყრილიდან გადავარდა. დამტვრეულია 35 საკლასო ვაგონი და ორივე ორთქმავალი. მოკლული და დაჭრილია რამდენიმე ასეული ჰიტლერელი. მეორე დღეს ამავე რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა, თვალყურს ადევნებდა რა რკინიგზას, გაუშვა გერმანელთა საკონტროლო დრეზინი, რომელიც ამოწმებდა, წესიერ მდგომარეობაშია თუ არა ლიანდაგი. როცა დრეზინი თვალს მიეფარა, პარტიზანებმა ვაგონი დანაღმეს და მიიმალნენ. დრეზინის მომდევნო მატარებელი ნაღმებს წააწყდა და ფერდობზე გადაიჩეხა. დამტვრეულია 28 ვაგონი, რომლებშიც გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები იმყოფებოდნენ.

* * *

იუგოსლავიელმა პატრიოტებმა მთელი რიგი წარმატებანი მოიპოვეს ოკუპანტებთან ბრძოლებში. ოტოჩაცის რაიონში პარტიზანებმა მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს დასახლებული პუნქტი ბრლოგი, გაეტეხეს მტრის 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ტყვედ წამოიყვანეს 80 იტალიელი, ხელთ იგდეს დაბალი—25 დაზის ტყვიამფრქვევი და 200.000 ვაზნა. პატრიოტებმა დაიკავეს აგრეთვე დასახლებული პუნქტი ველიკა პისანიცა. ამ პუნქტის ქუჩებში გაჩაღებული ბრძოლების დროს მოსპობილია 160 გერმანელი. ქალაქ ლნინის გარშემო მდებარე მთელი ტერიტორია საფსებით გაწმენდილია ოკუპანტებისაგან. ამ რაიონში პარტიზანებმა ერთ ბატალიონამდე იტალიელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟალეტეს.

15 აპრილის საღამოს ცნობა

15 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

14 აპრილს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაახიზანეს გერმანელთა სულ ცოტა 40 ავტომანქანა ჯარებისანად და ტვირთიანად, დაამტვრიეს რკინიგზის შემადგენლობა, ჩაანგრიეს მოწინააღმდეგის საველე და საზენიტო არტილერიის 8 ბატარია.

* * *

ყუბანში 6 შენაერთის ნაწილები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ. გერმანელებმა ამ უბანზე მაშველი ძალები გადმოაყენეს და ქვეითი ჯარითა და 46 ტანკით ნაშუადღევის შემდეგ განუწყვეტლივ მოჰქონდათ გაფფთრებული იერიშები. ჩვენმა მებრძოლებმა ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში მოიგერიეს და მძიმე ზარალი მიაყენეს მტერს. გერმანელები განსაკუთრებით დიდად დაზარალდნენ ჩვენი არტილერიის ცეცხლისაგან. დაზიანებული და დამწვარი გერმანელთა 19 ტანკი. ბრძოლის ველზე დათვლილია 600-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია დაკლა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ქვეითი ჯარისა და არტილერიის ცეცხლით გაფლეთილია 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი ერთ უბანზე მოწინააღმდგის გაძლიერებულმა ქვეითი ჯარის ასეულმა იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. ჰიტლერელები უკუგდებულ იქნენ თავდაპირველ ზღუდეებზე, ამასთან მათ დიდი ზარალი ნახეს.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით ჩვენი ქვეგანაყოფები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც გაჟალეტილია 120 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და მოსპობილია 2 ქვემეხი და 8 ტყვიამფრქვევი. სნაიპერმა ამხ. ლომაკინმა უკანასკნელი დღეების განმავლობაში 8 ჰიტლერელი მოჰკლა და ცეცხლგამჩენი ტყვიებით ცეცხლი წაუკიდა მტრის საომარი მასალის 2 საწყობს. სნაიპერმა ამხ. პოპოვმა მოსპო 22 გერმანელი, ამხ. პუხოვმა—18, ამხ